საქართველოს მთავრობის

დადგენილება №238

2024 წლის 29 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/03/2018, 010240030.10.003.020427) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების მართვისა და დაცვის და კლიმატის ცვლილების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;“;

ბ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ^{1}“ ქვეპუნქტი:

„უ^{1}) მელიორაციის, მიწის მართვის, ნიადაგის დაცვისა და მდგრადი მართვის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და განხორციელება;“.

2. მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი;“.

3. მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, ჰიდრომელიორაციის, მიწის მართვის, ნიადაგის დაცვისა და მდგრადი მართვის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში/განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) ჰიდრომელიორაციის, მიწის მართვის, ნიადაგის დაცვისა და მდგრადი მართვის მიმართულებით ქვეყანაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. ასევე შესაბამისი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების/პროექტების ინიციირება, დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია;

გ) ჰიდრომელიორაციის, მიწის მართვის, ნიადაგის დაცვისა და მდგრადი მართვის მიმართულებით საერთაშორისო საინვესტიციო და განვითარების პროექტების შერჩევა/ინიციირება, დაგეგმვა, ასევე მათი მომზადებისა და განხორცილების კოორდინაცია;

დ) ირიგაციისა და დრენაჟის სექტორში მართვის, ინსტიტუციური მოწყობის, მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისის გაწევის, სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრის თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული და საქართველოს რეალობის შესაბამისი პრინციპების

დანერგვის ხელშეწყობა;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;

ვ) მიწისა და ნიადაგის შესახებ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;

ზ) ქვეყნის მასშტაბით მიწისა და ნიადაგის რესურსების ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელების კოორდინაცია;

თ) გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის პროცესის შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

ი) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის რეგულირება და კოორდინაცია;

კ) ნიადაგის მდგრადი მართვისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 15 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**